როდესაც გარდმოევლინა ალლაჰის სიტყვები: {როცა ალლაჰის შეწევნა და გამარჯვება იქნა მოსული} [ან-ნასრ: 1] ამის შემდეგ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი ლოცვის დროს ამბობდა: «დიდებული ხარ შენ ჩვენო ღმერთო, ქება-დიდება შენ ჩემო ღმერთო, მომიტევე მე

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «როდესაც გარდმოევლინა ალლაჰის სიტყვები: {როცა ალლაჰის შეწევნა და გამარჯვება იქნა მოსული} [ან-ნასრ: 1] ამის შემდეგ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი ლოცვის დროს ამბობდა: «დიდებული ხარ შენ ჩვენო ღმერთო, ქება-დიდება შენ ჩემო ღმერთო, მომიტევე მე». აიშა გადმოსცემს: რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვაზე რუქუ'ის და საჯდას დროს ძალიან ხშირად ამბობდა: «დიდებული ხარ შენ ჩვენო ღმერთო, ქება-დიდება შენ ჩემო ღმერთო, მომიტევე მე» - ყურანზე მიყოლით.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როდესაც გარდმოევლინა აიათი: {როცა ალლაჰის შეწევნა და გამარჯვება იქნა მოსული} მან მაშინვე განმარტა ეს აიათი და უზენაესი ალლაჰის ბრძანების აღსრულება იჩქარა თავის სიტყვებში: {მაშ, განადიდე შენი ღმერთი ქება-დიდებით და მას სთხოვე მიტევება}. და ის ცდილობდა, რომ ალლაჰი განედიდებინა ლოცვის დროს რუქუ'ის და საჯდას შესრულებისას: «დიდებული ხარ შენ», შორს ხარ ყველა იმ ნაკლოვანებისგან, რომელიც არ შეგეფერება შენ, «ღმერთო ჩვენო უფალო ქება-დიდება შენ», დიდებული ქება იყოს შენზე, შენი სრულყოფილი არსის თვისებების და ქმედებების შესაფერისი, «ღმერთო ჩემო მომიტევე მე», მაპატიე ჩემი ცოდვები და ნუ მომთხოვ მასზე პასუხს.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee